

## საქართველოს კანონი

**„ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე**

**მუხლი 1.** „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41, 30.12.2004, მუხ. 213) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

**1. მე-2 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „დ“ ქვეპუნქტი:**

„დ) დისკონტირების კოეფიციენტი – საპროცენტო განაკვეთი რომელიც გამოიყენება მომავალი პერიოდის ფულადი შემოსავლების განსაზღვრისათვის დღეის მდგომარეობით.“

**2. მე-3 მუხლის, „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„ბ) პირი, რომელიც ახორციელებს სახელმწიფო ტყის ფონდიდან მერქნული რესურსების მოპოვებას.“

**3. მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

1. წიაღით სარგებლობისათვის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება:

ა) მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის ძირითადი სახეობებისა და მოცულობის (რაოდენობის) მიხედვით, ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად:

სასარგებლო წიაღისეულის სახეობანი	ზომის ერთეული	მოსაკრებლის ოდენობა ლარებში
საწვავი და ენერგორესურსები: ნავთობი	1 ტონა	21
გაზი	1000 მ3	2
ნახშირი	1 ტონა	1
ტორფი და საპროპელეები	1 ტონა	0.7
შავი ლითონები: ა) რკინა; ბ) მანგანუმი.	1 ტონა/1%-იანი შემცველობით	0.008 0.12
ლითონები: ფერადი ლითონები: ა) სპილენძი; ბ) ტყვია; გ) თუთია; დ) ანთიმონიტი;	1 ტონა 1 ტონა 1 ტონა 1 ტონა/1%-იანი შემცველობით	136 37 90 0.09
ე) კადმიუმი;	1 ტონა	800000

ვ) ალუმინი;	1 ტონა	104
ზ) სტრონციუმი და სხვა.	1 ტონა	0.8
<u>თ) ნიკელი</u>	1 ტონა	450
<u>ი) კალა</u>	1 ტონა	400
კეთილშობილი ლითონები:		
ა) ოქრო;		0.9
ბ) პლატინოიდები;	1 გრამი	1.3
გ) ვერცხლი.		0.015
იშვიათი ლითონები, იშვიათი ელემენტები და იშვიათი მიწები	1 გრამი	1.5
სამთო-ქიმიური ნედლეული:		
ა) ანდეზიტი;	1 მ <sup>3</sup>	0.6
ბ) ბარიტი;	1 ტონა	1.8
ფ) კალციტი;	1 ტონა	1.2
ვ) ბენტონიტური თიხები;	1 ტონა	3.6
დ) დიატომიტი და სხვა.	1 ტონა	6
<u>ჟ) ვერცხლისწყალი</u>	1 ტონა/1%-იანი შემცველობით	0.14
<u>ზ) დარიშხანი</u>	1 ტონა	20
<u>თ) გოგირდი</u>	1 ტონა	2
არამადნეული ნედლეული, მეტალურგიისათვის საჭირო ნედლეულის ჩათვლით:		
ა) დოლომიტი;	1 ტონა	0.5
ბ) ცეცხლგამძლე თიხები;	1 ტონა	1
გ) საფლუსე კირქვები;	1 ტონა	0.5
დ) კვარცის ქვიშები საყალიბე და მინის წარმოებისათვის;	1 ტონა	1.5
ე) მინერალური პიგმენტები;	1 ტონა	200
ვ) ტალკი;	1 ტონა	1
ზ) ცეოლითი;	1 ტონა	1
თ) კაოლინი;	1 ტონა	4.0
ჰ) ტრაქიტი;	1 ტონა	0.3
კ) პეგმატიტი;	1 ტონა	0.3
ლ) <u>კირქვა კირის წარმოებისათვის</u>	1 ტონა	0.15
<u>მ) გრაფიტი</u>	1 ტონა	8
<u>ნ) საყალიბე-საფლუსე თიხები</u>	1 ტონა	0.3
<u>თ) კერამიკული თიხები</u>	1 ტონა	0.2
<u>პ) ბუნებრივი ცარცის ქვა</u>	1 ტონა	0.1
<u>ჟ) საფორმე ქვიშები</u>	1 მ <sup>3</sup>	0.3
<u>რ) ლითოგრაფიული ქვა და სხვა</u>	1 მ <sup>3</sup>	2
ძვირფასი ქვები	1 კარატი	1
<u>საიუველირო ნახევრადძვირფასი ქვები (აქვამარინი, ამეთვისტო, ქრიზოლითი, მთის ბროლი და სხვა)</u>	1 კგ	0.25
<u>საიუველირო-სანაკეთობო ქვები (აქატი, მალაქიტი, ნეფრიტი, სერდოლიტი, ქარვა, გიშერი, ლაზურიტი და სხვა)</u>	1 კგ	0.15
<u>იაშმა (იასპი)</u>	1 გრ	0.05
საშენი მასალები:		
ა) საცემენტე ნედლეული (კირქვა,	1 ტონა	0.14

თიხამიწა, სპონგოლიტი)		
ბ) თაბაშირი;	1 ტონა	0.7
გ) გაჯი;	1 ტონა	1.0
დ) პერლიტი;	1 ტონა	1.8
ე) ხრეში, ქვიშა;	1 მ <sup>3</sup>	0.2
ვ) სააგურე თიხები;	1 მ <sup>3</sup>	0.35
ზ) მოსაპირკეთებელი და სახერხი ქვები (გრანიტი, სიენიტი, დიორიტი, გაბრო, ტეშენიტი, ბაზალტი, ტუფი, მარმარილო)	1 მ <sup>3</sup>	1.0
თ) საღორღე ნედლეული	1 მ <sup>3</sup>	0.4
ი) სხვა საშენი მასალები	1 მ <sup>3</sup>	0.7
მინერალური წყლები, გარდა სამკურნალო კურორტებისათვის მიწოდებული წყლებისა	1 მ <sup>3</sup>	3
სამკურნალო კურორტებისათვის მიწოდებული მინერალური წყლები	1 მ <sup>3</sup>	0.5
სამკურნალო ტალახი	1 ტონა	1
მიწისქვეშა თერმული წყლები	1 მ <sup>3</sup>	<b>0.05</b>
მიწისქვეშა მტკნარი წყლები: ა) ჩამოსასხმელი; ბ) საყოფაცხოვრებო.	1 მ <sup>3</sup>	<b>0.5</b> 0.005
მყარი სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებისა და გადამუშავების ნარჩენები	1 ტონა	0.2
სამთამაღნო საწარმოთა გამდიდრების კულები	1 ტონა	0.18

4. მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტები ამოღებულ იქნეს.

**5. მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

„2. სახელმწიფო ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება საქართველოს ტყის ფონდის მიწებზე გავრცელებული ტყის მერქნიანი სახეობების, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სატყეო სანიხრე თანრიგებისა და მერქნული რესურსების სასაქონლო ხარისხის მიხედვით, ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად:

ტყის მერქნის სახეობათა ჯგუფები (სახეობათა დასახელების ჩათვლით)	სანიხრე თანრიგი (მანძილი სარკინიგზო მაგისტრალამდე კმ-ში)	მოსაკრებლის ოდენობა ერთი მკვრივი კუბური მეტრისათვის ლარებში		
		სამასალე მერქანი უქერქოდ (დიამეტრი წვრილ თავში)		საშემე მერქანი ქერქით
		მსხვილი მეტი	საშუალო 13სმ-დან	წვრილი 4სმ -სმ 13სმ-დან

			24სმ –		
1	2	3	4	5	6
I ჯგუფი უთხოვარი, ბზა, ღვია, ძელქვა, კაკალი	1. 10-მდე 2. 10-დან 25-დე 3. 25-დან 40-დე 4. 40 და მეტი	102 90 78 66	90 81 72 63	81 72 63 54	15 12 9 6
II ჯგუფი მუხა, წაბლი, იფანი, თელა, თუთა, ნეკერჩხალი ცაცხვი პანტა საღსაღაჯი	1. 10-მდე 2. 10-დან 25-დე 3. 25-დან 40-დე 4. 40 და მეტი	60 52 44 36	52 46 40 34	46 40 34 20	10 8 6 4
III ჯგუფი წიფელი, რცხილა, აგაცია, აკაკი, უხრავი	1. 10-მდე 2. 10-დან 25-მდე 3. 25-დან 40-მდე 4. 40 და მეტი	47 40 32 25	40 34 29 23	34 29 23 18	7 6 4 3
IV ჯგუფი ფიჭვი, ნაძვი, სოჭი, კედარი, კვიპაროზი, კრიპტომერია, ტუია	1. 10-მდე 2. 10-დან 25-მდე 3. 25-დან 40-მდე 4. 40 და მეტი	22 18 14 10	18 15 12 9	15 12 9 6	5 4 3 2
V ჯგუფი ჯაგრცხილა, ჭადარი, ტყის დანარჩენი მერქნიანი სახეობები	1. 10-მდე 2. 10-დან 25-მდე 3. 25-დან 40-მდე 4. 40 და მეტი	13 10 7 5	10 8 5 4	8 6 4 3	5 4 3 2

**6. მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

3. გარემოდან ამოღებული ტყის არამერქნული რესურსები და ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობისათვის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება ყოველ კილოგრამზე შემდეგი ცხრილის მიხედვით:

№	რესურსების დასახელება სახეობათა ჯგუფების მიხედვით	მოსაკრებლის ოდენობა (ლარი/კვ)
1	თეთრყვავილას გორგლები, ყონივარდას ბოლქვები	0.1
2	სოჭის გირჩი	0.50

**7. მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ცხრილის XIII, XXII და XXIII ჯგუფები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:**

5. ცხოველთა სამყაროს რესურსებით (ობიექტებით) სარგებლობისათვის მოსაკრებლის ოდენობა განისაზღვრება ცხოველთა სამყაროს ობიექტების საქართველოში გავრცელებულ სახეობათა მიხედვით, ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად:

ცხოველთა სამყაროს ობიექტთა ჯგუფები(ცხოველთა სამყაროს ობიექტთა სახეობების დასახელებათა ჩათვლით)	მოსაკრებლის ოდენობა (ძუძუმწოვრებისა და ფრინველებისათვის სახეობის ერთ ინდივიდზე, თევზებისა და წყლის ცხოველებისათვის ერთ ტონაზე) ლარებში
<b>XIII ჯგუფი</b> ა) ქარსალა; ბ) მერლანგი; ჟ) ხონთქარა; ჟ) ქაშაყი, პელამი, სამარიდა, სარდანი; ჟ) ლუფარი; კ) სკუმბრია, სარდინი, სტავრიდა; ზ) ფარგა. თ) <b>სამარისი</b>	10 15 40 40 30 20 50 40
<b>XXII ჯგუფი</b> ა) ხრამული; ბ) <b>ქაშაპი</b> ; გ) კარჩხანა (კარასი); დ) ღორჯო; ე) ჭანარი; ვ) მცირე ვიმბა; ზ) კამბალა, კალკანი.	50 5 5 5 50 15 40
<b>XXIII ჯგუფი</b> ა) ზღვის კატა; ბ) ზღვის ენა; გ) ზღვის მელა; დ) ვარსკვლავთმრიცხველი;	30 30 30 40

**8. ამოღებულ იქნეს მე-6 მუხლის 1 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი:**

**9. მე-6 მუხლის დამატოს შემდეგი შინაარსის 1<sup>1</sup> პუნქტი რედაქციით:**

„1<sup>1</sup> ლიცენზიის პირობით განსაზღვრული ცალკეული რესურსის მთლიანი მოცულობის მოსაკრებლის ჯამური ოდენობა გადამხდელის მოთხოვნით შესაძლებელია გადახდილი იქნას წინასწარ (მთლიანად ან ნაწილობრივ) დისკონტირების კოეფიციენტის გათვალისწინებით. დისკონტირების კოეფიციენტს ადგენს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრი ნორმატიული აქტით.“

**მუხლი 2.** ამ კანონის პირველი მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული ნორმატიული აქტი გამოცემულ იქნეს ამ კანონის ამოქმედებიდან 3 თვის ვადაში.

**მუხლი 3.** ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი